დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ახალი სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი
12-13.04.2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
04.05.2022 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ახალი სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202903750

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N35
ფაქტობრივი მისამართი	ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N35
საფოსტო ინდექსი	0162
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.newschoolgeorgia.com
დაწესებულების ელ-ფოსტა	director@newschoolgeorgia.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 2 23 1728

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მარინა ჟღენტი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599532405
ელ-ფოსტა	director@newschoolgeorgia.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ახალ სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 11 მარტის MES 0 22 0000248296 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	12-13.04.2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მიხეილ ტეფნაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ნანა ედიშერაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები,	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	მნიშვნელოვანია, შპს ახალ სკოლაში დასაქმებულმა იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, შეძლონ საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება მიმდინარე 2022 წელს.
	3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	გასათვალისწინებელია, რომ მაძიებელი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქტიული სასწავლო აქტივობები; სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ერთიანი ხედვა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიმართულებით; მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებული მიდგომები; სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებლები; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგანმანათებლო პრინციპების შესაბამისად მოწყობა.

დაწესებულების მისია	ჩვენი ამოცანაა აღვზარდოთ ისეთი ახალგარზდები, რომლებიც მუდმა მზად არიან ახალი ცოდნის მისაღებად და წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების შესატანად.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **850**	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279 ბრძანება (შემდგომში სასკოლო სასწავლო გეგმა), შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. სკოლის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. სასწავლო წლის კალენდარი; 3. დღის რეჟიმი; 4. დისტანციური სწავლების პროცესის ორგანიზება; 5. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა; 6. სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა; 7. საბაზო-საშუალო საფეხურზე უცხო ენის ჯგუფების ფაზებად დაყოფა; 8. საწყებით საფეხურზე უცხო ენის ჯგუფების დაყოფა; 9. მე-9 და მე-10 კლასებში მათემატიკის გაკვეთილის ორ ჯგუფად გაყოფა; 10. სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; 11. დაწყებით და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლების, საფეხურის ხელმძღვანელების, პროგრამის კოორდინატორის, დამრიგებლების ყოველკვირეული შეხვედრები სასწავლო პროცესის, საორგანიზაციო და შინაარსობრივი საკითხების შესახებ; 12. დაწყებით და საბაზო-საშუალო საფეხურის საგნობრივი ჯგუფების/ჯგუფის ხელმძღვანელები და მათი ყოველკვირეული შეხვედრების განრიგი; 13. საბაზო-საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებლების, სკოლის ფსიქოლოგის ყოველკვირეული შეხვედრები სადამრიგებლო თემების შესახებ; 14. სადამრიგებლო პროგრამა; 15. ინკლუზიური განათლება; 16. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; 17. პროფესიული განვითარება; 18. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. შპს „ახალი სკოლას“ „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციასა”

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(შემდგომში IB) და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში ცენტრი) შორის 2017 წლის 10 ივლისს გაფორმებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების (შემდგომში IB-ის აღიარების ხელშეკრულება) შესაბამისად უფლება აქვს განახორციელოს საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამა, რაც დასტურდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ. გვერდზე განთავსებული ინფორმაციით - https://eqe.ge/ka/page/static/889/sazghvargaret-aghiarebuli-zogadsaganmanatleblo-programebi-sakartveloshi. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების, (შემდგომში ეროვნული სასწავლო გეგმა), საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამისა და სკოლის მმართველი გუნდის მიერ შემუშავებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების შინაარსისგან, რომლებშიც აღწერილი სწავლა-სწავლების პროცესითა და მისი განხორციელების მექანიზმებით შესაძლებელი იქნება სკოლის მისიის მიღწევა და სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279 ბრძანება; • „საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციასა” (შემდგომში IB) და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში ცენტრი) შორის 2017 წლის 10 ივლისს გაფორმებული საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება; • სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ. გვერდი (https://eqe.ge/ka/page/static/889/sazghvargaret-aghiarebuli-zogadsaganmanatleblo-programebi-sakartveloshi.) • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, დაწესებულებაში ვიზიტისა და ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრების მიხედვით სკოლაში ორი - ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი განყოფილება მუშაობს. ინგლისურენოვან განყოფილებაში ძირითადად უცხოელი და მათ შორის საქართველოს მოქალაქე მოსწავლეები სწავლობენ, რომლებსაც უცხოელი და ქართველი მასწავლებლები ასწავლიან. ორივე განყოფილებაში სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საერთაშრისო საბაკალავრო პროგრამის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს. კერძოდ, I-V კლასებში საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის დაწყებითი საფეხურის პროგრამით (PYP), VI-X კლასებში საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის საბაზო საფეხურის (MYP) პროგრამით, ხოლო XI-XII კლასებში - ქართულენოვან განყოფილებაში სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ხოლო ინგლისურენოვანში საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამით (DP). სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დაწესებულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის ინტეგრირებას, რომლის კონცეპტუალური მიდგომა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კვლევა-ძიებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს ეყრდნობა. IB პროგრამის აღირების ხელშეკრულების 3.3. პუნქტის მიხედვით „ ... ცენტრი აღიარებს IB პროგრამებს, თუ IB პროგრამა: ... ... ბ) საზღვარგარეთ აღიარებული სტატუსის შენარჩუნების პარალელურად, ექვემდებარება ადაპტირებას ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობისაა და IB სტანდარტების შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის, ქართული კულტურისა და ხელოვნების სწავლების შესაძლებლობას; ...“ აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებულია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი განყოფილებების სასკოლო საათობრივი ბადეები. ქართულენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი I-V და VI-XII კლასების საათობრივი ბადეების მიხედვით, I-V კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი, რომლებიდანაც საათობრივი დატვირთვა სხვადასხვა კლასებში გაზრდილია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენასა (პირველი უცხოური ენა) და ბუნებისმეტყველებაში. მეორე უცხოური ენის სწავლება იწყება V კლასიდან და მოსწავლეებს არჩევანი შეუძლიათ გააკეთონ ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, იტალიურ, გერმანულ და სომხურ ენას შორის. სკოლას I-V კლასების მოსწავლეების საზროვნო უნარების გასავითარებლად და სკოლის მისიის მისაღწევად შემუშავებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც სავალდებულო სახისაა და „საძიებო თემა“ ეწოდება. აღნიშნული საგნის კვირეული საათობრივი დატვირთვა სხვადასხვა კლასში სხვადასხვაა - ყველაზე მეტი საათობრივი დატვირთვა I და II კლასებში აქვს და 6/7 საათს წარმოადგენს. VI-XII კლასების საათობრივი ბადე VI-X კლასებში ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის ინტეგრირებულ სწავლებას. ექსპერტთა ჯგუფმა ერთმანეთს შეადარა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის VI-X კლასებში განსხვავებული სქემით სწავლების საგნების კვირეული საათობრივი დატვირთვები, სწავლების მიზნები და შინაარსი. ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისგან განსხვავებული სქემით სწავლების პრინციპები შემდეგია: • VI კლასში ისწავლება საგანი „მოქალაქე და საზოგადოება“, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის ჩვენი საქართველოსა და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად. აღნიშნული საგნის კვირეული საათობრივი დატვირთვაა 4 საათი. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ჩვენს საქართველოს 3 საათი ეთმობა; • VII-X კლასებში გრძელდება „მოქალაქე და საზოგადოების“ სწავლება და მიზნად ისახავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის საგნების: ისტორიისა და გეოგრაფიისა ინტეგრირებულ სწავლებას. მოქალაქე და საზოგადოების საგნის კვირეული დატვირთვაა 3 საათი. ისტორიის VII და VIII კლასების პირველ სემესტრში 2, ხოლო მეორე სემესტრსა და IX კლასში 3, X-ში - 2. გეოგრაფია - VII-X კლასებში 2 საათი. • VI-X კლასებში ისწავლება საგანი „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, რომლის მიზანიცაა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნობრივი ჯგუფის საგნების კომპეტენციების გამომუშავება. კერძოდ, VI კლასში ბუნებისმეტყველების, VII კლასში ინტეგრირებულად ბიოლოგიისა და ფიზიკის, ხოლო IX-X კლასებში ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის საათობრივი კვირეული საათობრივი დატვირთვაა 4 საათი. ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის კი 2-2 საათი. • V-IX კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსახვავებული სქემით ისწავლება ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის საგნები მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით სასწავლო წლის ერთ-ერთ სემესტრის განმავლობაში 2 საათი ეთმობა ხელოვნებას, ხოლო მუსიკასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დრამას ერთი სემესტრის განმავლობაში 1-1 საათი. მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებად VI-IX კლასების შეთავაზებული აქვთ საგანი „დიზაინი“, ხოლო X კლასში „პერსონალური პროექტი“. XI-XII კლასებში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და სავალდებულოდ არჩევითი საგანი. ქართულენოვან სექტორზე სასწავლო პროცესში გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ გრიფმინიჭებული სახელმღვანელოები. ინგლისურენოვანი პროგრამისათვის წარმოდგენილი საათობრივი ბადე I-V და VI-XII კლასებში ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის (სწავლების ენა) 4[1] პუნქტისა და IB პროგრამის აღირების ხელშეკრულების 3.3. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. აღნიშნული განყოფილების I-V და VI-XII კლასების საათობრივი ბადეების შემადგენელი საგნები თითქმის ქართულენოვანი საათობრივი ბადის ანალოგიურია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ქართულენოვან განყოფილებაში ირიცხებოდა 479, ხოლო ინგლისურენოვანში 223 მოსწავლე. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის, მე-5 პუნქტის მიხედვით „ ... კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს საფეხურის რომელიმე კლასში იმგვარად, რომ სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრული შედეგები. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში.“ გარდა ამისა, ამავე ბრძანების 56-ე მუხლის მიხედვით „ ... მოდელი III – საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.“ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის აღნიშნული მუხლების შესაბამისად, სასკოლო საათობრივი ბადე შეათანხმონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2022 წლის 26 (N3/280) და 29 (N3/296) აპრილის წერილები, რომლის მიხედვითაც მომავალი სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე შესათანხმებლად გადაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში.* გარდა დოკუმენტაციის შესწავლისა, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებით დაგინდება, რომ კონკრეტულ კლასში კონკრეტული საგნის სწვალებისას ხელი ეწყობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შინაარსების გააზრებასა და უნარების გამომუშავებას, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც დასტურდება. სასკოლო საათობრივი ბადის შემადგენელი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისიწინებელი სავალდებულო საგნების სწავლების მიზნებით, შინაარსით, სხვადასხვა სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279 ბრძანება; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი შპს ახალი სკოლის 2022 წლის 29 აპრილის N3/296 წერილი; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი შპს ახალი სკოლის 2022 წლის 26 აპრილის N3/280 წერილი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური სასწავლო გეგმების მეთოდიკის, ჯგუფის ორგანიზებისა, თუ შეფასების კომპონენტების ნაწილებში აღწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების შინაარსები. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ დაწესებულება აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გასავითარებელ მხარეებზე მუშაობის პროცესი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს მოსწავლების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას მათი ემოციური მხარდაჭერისა და ინტენსიური, გეგმიური შეხვედრების გზით. სადამრიგებლო პროგრამების შინაარსი ორიენტირებულია ადამიანის უფლებების, ინტერკულტურული გარემოსა და ეფექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონდე მოსწავლე არ ირიცხებოდა. სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მათი ჩართულობისა თუ დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების შესახებ. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მოსწავლეებისთვის მხარდაჭერაა სწავლის პროცესში. გარდა მხარდაჭერისა, საკლასო თუ დისტანციური სწავლების პროცესში ჩატარებული საინტერესო გაკვეთილები, მათ კიდევ უფრო მეტად ეხმარებათ სწავლაში. მოსწავლეების მშობლები საუბრობენ, რომ მათი შვილები უკეთესობისკენ შეიცვალნენ სკოლაში სწავლის პერიოდში, დისტანციურ რეჟიმში ტარდებოდა საინტერესო გაკვეთილები და დისტანციურ სწავლების დასაწყისში გაჩენილი შფოთი თანდათან გაუქრათ. სკოლის მასწავლებლები აქტიურად საუბრობენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწვალების პრინციპებისა და მათი გათვალისწინებით დაგეგმილი სხვადასხვა სასწავლო აქტივობის შესახებ. მათი აღწერის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლაში აქტიურად იგეგმება ინტეგრირებული პროექტები. წარმოდგენული დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279 ბრძანება; • დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თემატური გეგმები; • სადამრიგებლო პროგრამები; • ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მოსწავლის განვითარების შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლის უნარების ეფექტურ და სიღრმისეულ განვითარებას, განსაზღვრავს მის მიერ მიღებულ ცოდნას, გაგებას, ხელს უწყობს დადებითი დამოკიდებულების განვითარებას და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებას. გამომდინარე აქედან, შეფასების პროცესის მიზანია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. მოსწავლის ცოდნას და უნარ-ჩვევებს სწავლებისა და სწავლის უნარების სხვადასხვა ეტაპზე დადგენა. ამოცანები კი მოსწავლისთვის უკუკავშირის მიწოდება საკუთარი წინსვლის უკეთ გაგებისთვის. მასწავლებლისთვის უკუკავშირის მიწოდება დაგეგმვასა და სწავლებაში ხელშეწყობისთვის. მშობლებთან უკუკავშირის უზრუნველყოფა და მათი შვილების წინსვლის შესახებ ინფორმაციის გაცნობა. მოსწავლეები ფასდებიან საერთაშორისო ბაკალავრიატის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ისინი თანამშრომლობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებთან სწავლისა და შეფასების სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით I-V კლასებში სკოლა იყენებს საერთაშორისო ბაკალავრიატის შეფასების სისტემას, მიღწევის დონეებსა და საგნის კრიტერიუმებს (მეხუთე კლასისათვის). მოსწავლეების შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (V კლასი), ასევე განმავითარებელი შეფასება - მიმდინარე, შემაჯამებელი და კომბინირებული. მოსწავლის შეფასება ხდება განვითარების ოთხი საფეხურის მიხედვით, რომლებიც ასახავენ ბავშვის აკადემიურ მოსწრებას სემესტრების მიხედვით და შეესაბამებიან საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამულ მოთხოვნებს. ეს საფეხურებია: თანმიმდევრული, განვითარებადი, დამწყები, საჭიროებს განვითარებას. ყველა სასწავლო შემაჯამებელი და მიმდინარე აქტივობა ფასდება შესაბამისი რუბრიკებითა და კრიტერიუმებით, რის შესახებაც მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან. დაწყებით საფეხურზე (PYP) - ყველა საგანში მიმდინარე შეფასება ხდება კომენტარების სახით, კომენტარს წერს მასწავლებელი პირველი და მეორე სემესტრის შეფასების ბარათში-რეფორთში, რომელიც გადაეცემა მოსწავლეს წინასწარ განსაზღვრულ დროს (იხ.სკოლის კალენდარი) და რის შესახებაც წინასწარ არის ინფორმირებული მშობელი კლასის დამრიგებლის მიერ. მასწავლებლის კომენტარი მოიცავს მოსწავლის მიღწევების აღწერას, როგორც ზოგადად საგანში, ასევე, შემაჯამებელი სამუშაოების ნაწილში. საერთაშორისო ბაკალავრიატის შეფასების დონეებისა და მიღწევების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სკალასა და მიღწევის დონეებთან დგინდება შესაბამისი ცხრილის საშუალებით მეხუთე კლასში თითოეული საგანში შესაფასებლად გამოყენებულია საგნის კომპონენტები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სისტემასთან. მოხსენებით ბარათებში მოსწავლის შეფასება აღინიშნება შემაჯამებელი კომენტარის სახით, ხოლო მოსწავლის პირად საქმეში 1-10 ქულის სახით მეხუთე კლასში მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ათქულიანი სისტემით და შეფასების დონეების ფარგლებში სკალის შესაბამისად (მაქს.-10; მინ.-5.) VI-XII კლასებში მოსწავლეების შეფასებისას გამოიყენება საერთაშორისო ბაკალავრიატის შეფასების სკალას. ყველა საგანში შეფასება ხდება 1-7 ქულიანი სისტემით. რაც შეეხება დამატებითი ინფორმაციას, ამას კომენტარის სახით, წერს მასწავლებელი ან პროგრამის კოორდინატორი. I სემესტრის საბოლოო ქულა იწერება I სემესტრის შეფასების ბარათში, ხოლო II სემესტრის (წლიური) საბოლოო ქულა იწერება II სემესტრის შეფასების ბარათში,თითოეული საგნისთვის ცალ-ცალკე. სკოლას შემუშავებული აქვს 7 ქულიდან 10 ქულაზე კონვერტაციის წესი. სემესტრული ქულის გამოანგარიშება მე-6-10 კლასებში ეფუძნება IB საერთაშორისო ბაკალავრიატის შეფასების მოთხოვნებს, ხოლო მე-11-12 კლასებში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშება მე-6-12 კლასებში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279 ბრძანება; • საგნობრივი ჯგუფების სამუშაო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები; • შედეგების ანალიზის ფორმები; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N1 დანართი (შემდგომში შინაგანაწესი) და დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	N2 (შემდგომში მშობლებთან ურთიერთობის დებულება) განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესსა და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის ფორმებს. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე დაყრდნობით შემუშავებულია მოსწვალისა და მშობლის და მასწავლებლის ცნობარი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შედეგები განიხილება მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის კონფერენციებზე, რომლის განმავლობაშიც მსჯელობა ეყრდნობა მოსწავლის მიერ შესრულებული სხვადასხვა დავალების შეფასებასა თუ თვითშეფასებას. გარდა ამისა, მოსწვალის მშობლებს პერიოდულად ეგზავნებათ მოსწავლის შედეგების ამსახველი შუალედური მოხსენებითი ბარათები. სკოლა მიმდინარე შეფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს სქულბუქს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწვალეები ინტერვიუს პროცესში აქტირად საუბრობენ მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად მათი შედეგების განხილვის დადებით მხარეებზე. მოსწავლეების მშობლებს მოჰყავთ კონკრეტული მაგალითები სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ და აღნიშნავენ, რომ სკოლა მზადაა ითანამშრომლოს კონრეკტული მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. სკოლის მასწავლებლების განმარტებით, კი სკოლის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეების მშობლებსა და მათ შორის ურთიერთობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N1 დანართი (შემდგომში შინაგანაწესი) და დანართი N2 (შემდგომში მშობლებთან ურთიერთობის დებულება); • მოხსენებითი ბარათების ნიმუშები; • მოსწავლის რეფლექსიის ფორმები; • ელექტრონული ჟურნალი სქულბუქი; • მოსწავლეებთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N10 დანართი (შემდგომში სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების დებულება). დაწესებულება სასკოლო სასწავლო გეგმის შედეგებს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით - საგნობრივი ჯგუფებში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრების შედეგად მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ გადაწყვეტილება სასწავლო პროგრამების განხორციელების, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების, შეფასების ფორმების ეფექტურობის შესახებ. ფასდება მასწავლებელთა მუშაობა, მიმდინარეობს მასწავლებელთა გადამზადება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის, ფასდება სკოლის მოსწავლეების მიმდინარე შეფასებების დინამიკა, კურსდამთავრებულთა შედეგები ანალიზი ეროვნული სასწავლო გემგმითა თუ IB პროგრამით განსაზღვრულ შედგეებთან მიმართგებაში. სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შეფასება და შედეგების გაუმჯობესებაზე მუშაობა მუდმივი პროცესია. სასწავლო პორცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების შეფასების შესაბამისი აქტივობები იკითხება სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N10 დანართი (შემდგომში სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების დებულება); • საგნობრივი ჯგუფების სამუშაო შეხვედრების ამსახველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტები; • შპს „ახალი სკოლის“ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • შედეგების ანალიზის ფორმები; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება; • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საჯარო რეესტრის 2020 წლის 12 ნოემბრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ახალი სკოლა” საკუთრებაში ფლობს ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N35-ში (საკადასტრო კოდი: N 01.14.07.001.060) მიწის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია გალავნით. ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი, გამწვანებისა და მოსწავლეთა გასართობი ზონები, რომლებიც მოქცეულია ხუთ სხვადასხვა სართულიანობის 9176.00 კვ.მ.-ს ჯამური ფართის შენობა-ნაგებობებს შორის. სკოლის ღია სივრცე პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს. გაკვეთილებს შორის შესაძლებელი იქნება მოსწავლეებს მიეცეთ დასვენების შესაძლებლობა. მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთ შენობა-ნაგებობებაში (საკადასტრო გეგმის მიხედვით 01/2, 02/2, 03/2, 04/1) ძირითადად განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახები; ორი ბიბლიოთეკა; ფსიქოლოგის ორი ოთახი და საგნობრივი კაბინეტები. მეორეში (საკადასტრო გეგმის მიხედვით 07/1, 08/1, 09/2) - საცურაო აუზი; თეატრალური დარბაზი; ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები; კაფე სკოლის პერსონალისთვის (მასწავლებლებს აქვთ მუშაობის შესაძლებლობა); კვების პუნქტი მოსწავლეებისთვის; საგნობრივი კაბინეტები და ადმინისტრაციული ოთახები (ძირითადად ინგლისურენოვანი პროგრამისათვის). მესამეში (საკადასტრო გეგმის მიხედვით 06/2) - მუსიკის საკაბინეტო სივრცე; სამედიცინო ოთახი; ორი ოთახი მოსამზადებელი ჯგუფისთვის (სრულად იზოლირებულია). მეოთხეში (საკადასტრო გეგმის მიხედვით 10/5) - სპორტული დარბაზი. მეხუთეში (საკადასტრო გეგმის მიხედბით - 11/5) - საერთოს საცხოვრებელი კორპუსი. თითოეული შენობა-ნაგებობა ვიზუალური დათვალიერებით კეთილგანწყობილი და მეთოდური საგანმანათლებლო გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს. ფართის წარმოდგენილი დაგეგმარებით, შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელება.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N35
მიწის (უძრავი ქონების)	01.14.07.001.060

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

საკადასტრო კოდი	
კვ.მ.	9176
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის 2020 წლის 12 ნოემბრის ამონაწერი (ცვლილება აღარ შესულა); • საკადასტრო გეგმა; • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი VI-XII კლასებში სასწავლო პროცესს წარმართავდა საგნობრივი კაბინეტური სისტემის გამოყენებით. პანდემიის შესაბამისი რეგულაციებიდან გამომდინარე სკოლა დროებით გადასულია საკლასო სწავლების პრინციპზე. პანდემიის დასრულების შემდეგ სკოლა კვლავ დაუბრუნდება კაბინეტური სისტემით სწავლებას. შენობა-ნაგებობებში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლებისათვის მოწყობილია 47 ოთახი. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 22 მოსწავლით. სკოლას აქვს 850-ზე მეტი ინდივიდუალური მერხი და სკამი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 702 მოსწავლე. ყველა ოთახში დგას ერთადგილიანი მერხი და სკამი. არის დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კომპიუტერი, პროექტორი, კლასის ასაკობრივი ჯგუფისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სხვადასხვა საგანმანათლებლო თვალსაჩინოება თუ ინტერაქტიური სასწავლო რესურსი. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, თითოეული ოთახი ტოვებს ინტერაქტიური სწავლების შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო სივრცის შთაბეჭდილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინდივიდუალირი მერხებისა და სკამების ფლობის დოკუმენტები; • სხვა საკლასო ინვენტარის ფლობის დოკუმენტები; • კომპიუტერული ტექნოლოგიის ფლობის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებისათვის სკოლის ეზოში მოწყობილია ღია 375.0 კვ.მ.-ის სპორტული მოედანი. აშენებულია 533.1 კვ.მ. სპორტული დარბაზი და ორი საცურაო აუზი (7.5X24 მ. და 7.5X11 მ.) შესაბამისი გასახდელებით, სველი წერტილებითა და სპორტული ინვენტარით - კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები, ხელბურთის ბადეების და ა.შ. ვიზიტის პერიოდში სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი, აუზში ცურვის გაკვეთილი, ხოლო დასვენების პერიოდში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ერთობოდნენ ღია სპორტულ მოედანზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოწყობილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. ქიმიის ლაბირატორიაში დგას გამწოვი. არის სველი წერტილი. სამივე ლაბორატორიას აქვს ბუნებრივი განიავების შესაძლებობა. მოწყობილი ინვენტარისა და ქიმიური საშუალებების საცავი. ლაბორატორიების ვიზუალური დათვალიერების მიხედვითაც დასტურდება, მათი აქტიურად გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღწერეს ლაბორატორიის გამოყენების შემთხვევებიც. შემუშავებულია შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N4 დანართი (ლაბორატორიით სარგებლობის წესი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	∉ ლაბორატორიის შეძენის დოკუმენტაცია; ∉ რეაქტივების შეძენის დოკუმენტაცია; ∉ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N4 დანართი (ლაბორატორიით სარგებლობის წესი); ∉ მოსწავლეებთან გასაუბრება; ∉ ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყოფილ ყველა ოთახს აქვს ფანჯარა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულებას მიეწოდება ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი. შენობა თბება ე.წ. ცენტრალური გათბობით. შენობა-ნაგებობეში მოწყობილია 42 სველი წერტილი თანამშრომლებისთვის, მოსწავლე გოგონებისა და ვაჟებისთვის. 1 სველი წერტილია ადაპტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	∉ კომუნალური ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ∉ ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა თვლის, რომ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს მოწყობილი ორი ბიბლიოთეკა. ვიზიტის პერიოდში, ვიზუალური დათვალიერების მიხედვით მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სამკითხველო სივრცეს. აღნიშნული ბიბლიოთეკებში განთავსებული წიგნები განსხვავდება ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით. ორივე ბიბლიოთეკაში ინახება 23985 სასწავლო და საკითხავი წიგნი. არის საქართველოს განათლებისა და მეცნიეების სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერებით, DVD დისკებით, რუკებით, ჟურნალებით, ცნობარებითა და ყველა იმ ენის ლექსიკონებით, რომელიც ისწავლება სკოლაში. სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის სკოლას აქვს საბიბლიოთეკო ბაზა Library World, ყოველწლიურად იწერს თანამედროვე მონაცემთა ბაზებს: Britanica Schools, The Day, eNotes, JSTOR, GALE in Context: Opposing Viewpoints, EBSCO History & Science, Raz-Plu. სკოლის ბიბლიოთეკას აქვს ვებ. გვერდი https://newschoolgeorgia.libguides.com/libraryhome ორივე ბიბლიოთეკას ემსახურება სხვადასხვა ბიბლიოთეკარი. მიმდინარეობს საბიბლიოთეკო საქმისწარმოება და შემუშავებულია შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N3 დანართი (ბიბლიოთეკის დებულება). ორივე ბიბლიოთეკაში გამოკრულია სამუშაო პერიოდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბეჭდური და ელექტრონული ფონდის ფლობის დოკუმენტაცია; • შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N3 დანართი (ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი); • https://newschoolgeorgia.libguides.com/libraryhome • სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრება; • სკოლის ბიბლიოთეკართან გასაბრება. • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობების დაგეგმარებიდან გამომდინარე ძირითად საგნობრივი კაბინეტები განთავსებულია პირველ სართულებზე. საჭიროების მიხედვით კი სამ შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი. არის ერთი ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოწყობილია კომპიუტერული კაბინეტი, მიეწოდება ინტერნეტი და აქვს 114 კომპიუტერი, 37 პრინტერი, 49 პროექტორი, 16 სკანერი, 2 ქსეროქსის აპარატი. სკოლის თანამშრომლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებისათვის ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია. სკოლას საზოგადოებასთან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციის შესასრულებლად, შექმნილი აქვს ორენოვანი ვებ. გვერდი https://newschoolgeorgia.com/ , რომელზეც შესვლისას სტუმარს შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცი სკოლის, სკოლაში მიღების, სასწავლო პროგრამების, სასკოლო ცხოვრების, მშობელთა სასკოლო ცხობვრებაში ჩართვის შესაძლებლობების, სკოლაში არსებული ვაკანსიებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	∉ კომპიუტერული ტექნოლოგიების შეძენის დოკუმენტები; ∉ ინტერნეტის მიწოდების ხელშეკრულება; ∉ დომენის ფლობის დოკუმენტი; ∉ https://newschoolgeorgia.com/; ∉ ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N6 - შპს „ახალი სკოლის“ უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და პირობები. ხუთივე შენობა-ნაგებობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. სკოლას ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და დაცვის თანამშრომლის ფუნქციების დოკუმენტიში იკითხება ხანძარსაწინააღმდეგო ფუნქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების დანართი N6 - შპს „ახალი სკოლის“ უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და პირობები; • სახანძრო ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია; • დაცვის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულები; • დაცვის თანამშრომლის ფუნქციების დოკუმენტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა შენობაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების დანართი N5 - შპს „ახალი სკოლის“ პირველადი დახმარების პროტოკოლი/ინსტრუქცია და დანართი N6 - შპს „ახალი სკოლის“ უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და პირობები. სკოლის ექიმის ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. სკოლის შენობებში განლაგებულია ორი სამედიცინო პუნქტი და ერთი ცხელების ცენტრი. ოთახები აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარითა და პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალებებით. სკოლაში მუშაობს სამი ექიმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების დანართი N5 - შპს „ახალი სკოლის“ პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დახმარების პროტოკოლი/ინსტრუქცია და დანართი N6 - შპს „ახალი სკოლის“ უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და პირობები; • ექიმებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის ექიმის ფუნქციების დოკუმენტი; • სამედიცინო ინვენტარისა და საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ექიმთან გასაუბრება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია შინაგანაწესი, მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ცნობარი, რომლებშიც აღწერილია დაწესებულებაში ქცევის წესები. სკოლას ჰყავს დაცვის თანამშრომლები. გარდა შინაგანაწესისა და კონკრეტული პირების ფუნქციების ამსახველი დოკუმენტების, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სკოლაში წესრიგის დაცვისა და უსაფრთხო ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას. სასკოლო სასწავლო გეგმით, კლასების სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია და განხორციელებული აქტივობების შინაარსითაც ჩანს, სხვადასხვა ისეთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს გააზრებინებს სასკოლო სივრცეში უსაფრთხო ქცევისა და ერთამენთის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მნიშვნელობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N1 დანართი - შპს „ახალი სკოლის“ შინაგანაწესი; • „შპს „ახალი სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის N279

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბრძანება; • კლასების სადამრიგებლო პროგრამები; • დაცვის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პერიმეტრის გასაკონტროლებლად, დაწესებულებას აქვს 81 კამერა, რომლებიდანაც 74 დამონტაჟებულია სკოლის შენობა-ნაგებობსებსა და ეზოში, ხოლო 7 - გარე პერიმეტრის გსაკონტროლებლად. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას საქმიანოს წარმართვისათვის შემუშავებული აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება; შპს „ახალი სკოლის“ შინაგანაწესი; მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკის დებულება; ლაბორატორიით სარგებლობის წესი; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროტოკოლი/ინსტრუქცია; უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექნიზმების დაცვის წესი და პირობები; მასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულება; მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა; საგნობრივი ჯგუფების/კათედრების დებულება; სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმების დებულება. ყველა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულისათვის შემუშავებულია კონკრეტული სამუშაო აღწერილობები. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შემუშავებული მოსწავლი, მშობლისა და მასწავლებლის ცნობარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 23 წლის აგვისტოს N214/3 ბრძანების N1 დანართები; • სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები; • მოსწვალის, მშობლისა და მასწავლებლის ცნობარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას SWAT ანალიზის გამოყენებით შემუშავებული აქვს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შედგება ოთხი სტრატეგიული მიზნისა და შესაბამისი ამოცანებისაგან და მოიცავს ორგანიზაციის მართვის სისტემის, ადამიანური რესურსების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მატერიალური რესურსების განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების, მშობელთა და მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორგანიზაციის, კურსდამთავრებულთა კავშირის განვითარების აქტივობებს. სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხევდით დაგეგმილია სკოლის მართვის დოკუმენტაციის, სწვალა-სწავლების ხარისხის ამაღლების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, საგანმანათლებლო რესურსების, უსაფრთხო სასწავლო გარემოსა და მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის განვითარების ხელშემწყობ აქტივობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ახალი სკოლის“ 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა; • შპს „ახალი სკოლის“ 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობა, რომელსაც ევალება დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდეცნიების შესაბამისი ფორმით აღრიცხვა. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. არსებობს რეგისტრაციის ჟურნალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დაწესებულების საქმეთა მმართველის სამუშაო აღწერილობა; • დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ახალ სკოლაში“ ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის რაოდენობა საშტატო განრიგით 127-ია. მათ შორის: დირექტორი 2 დირექტორის მოადგილე 2 მოადგილე/ უფროსი კლასების ხელმძღვანელი 1 მოადგილე/ დაწყებითი კლასების ხელმძღვანელი 1 კოორდინატორი- სადიპლომო პროგრამა 1 კოორდინატორი- საბაზო საშუალო საფეხურის პროგრამა 1 კოორდინატორი- დაწყებითი სკოლის პროგრამა 1 საქმეთა მმართველი 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ოფის მენეჯერი-საბაზო საშუალო საფეხური	2
	ოფის მენეჯერი-დაწყებითი საფეხური	1
	ოფის მენეჯერი	4
	სკოლის შემდგ.აქტ. კოორდინატორი	1
	ლაბორანტი	2
	ფსიქოლოგი	1
	დამხმარე მასწ.	18
	ზოგად საქმეთა მენეჯერი	1
	ბუღალტერი	2
	იურისტი	1
	ბიბლიოთეკარი	2
	IT მენეჯერი	1
	დამხმარე მასწ.	18
	ტექ. მენეჯერი	1
	ფოტოკოპირების სპეც.	1
	სპეციალური განათლების პედაგოგი	1
	ექიმი	4
	დაცვის თანამშრომელი	3
	დაცვა/მძღოლი	1
	დამლაგებელი	18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ელექტრიკოსი	1
	დურგალი	1
	მებაღე	1
	მეეზოვე	1
	ლიფტიორი	1
	მზარეული	2
	მიმტანი	2
	მზარეულის დამხმარე	1
	მზარეული	2
	სანტექნიკოსი	1
	ჭურჭლის მრეცხავი	1
	სკოლის ქართულ სექტორს ემსახურება 53 მასწავლებელი:	
	დაწყებითის ძირითადი მასწ -	15
	მათემატიკა-	3
	მოქალაქე და საზოგადოება/გეოგრაფია	1
	მოქალაქე და საზოგადოება/ ისტორია	1
	მუსიკა/დრამა	1
	მოქალაქე და საზოგადოება/ისტორია	1
	საბუნებისმეტყველო/ფიზიკა/მათემატიკა	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საბუნებისმეტყველო/ ფიზიკა 1 საბუნებისმეტყველო/ბიოლოგია 1 საბუნებისმეტყველო/ქიმია 1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/დიზაინი/ საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება 1 უცხო ენა (ინგლისური) 7 უცხო ენა (ესპანური) 2 უცხო ენა (ფრანგული) 4 უცხო ენა (რუსული) 5 ფიზიკური აღზრდა და სპორტი (ცურვა) 1 ფიზიკური აღზრდა და სპორტი 1 ქართული ენა და ლიტერატურა 4 ხელოვნება/დიზაინი/ საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 სკოლის ქართულ სექტორის 53 მასწავლებელიდან - 11 მაძიებელი, 6 უფროსი და 2 წამყვანია. სკოლის 34 მასწავლებელი სტატუსის გარეშეა და ემზადება საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მიმიდნარე 2022 წელს. სკოლამ წარმოადგინა 15 მასწავლებლის გამოცდებზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენაცია. შპს „ახალ სკოლაში“ ინგლისურ სექტორს დამატებით ემსახურება 26 მასწავლებელი სხვადასხვა საგნობრივი პროგრამის (PYP, MYP, DP) მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; • დამტკიცებული საშტატო განრიგი; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • სამუშაოს აღწერილობები - ხელშეკრულების დანართი 1; • თანხმობის ფორმები; • სკოლის შინაგანაწესი; • „ახალისკოლის“ აკადემიური სტრუქტურა; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • მასწავლებელთა საგნობრივ გამოცდებზე რეგისტრაციის ფორმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	53
მაძიებელი	11
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	6
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ახალ სკოლის“ მასწავლებელთა პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლის სასწავლო საგნობრივი პროგრამებისა და საათობრივი ბადის შესაბამისად, მასწავლებლები შერჩეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციით. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • საათობრივი ბადე; • მასწავლებელთა პირადი საქმეები/დოკუმენტაცია; • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • „შპს „ახალ სკოლაში“ ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ შპს „ახალი სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბერის N382 ბრძანება; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ახალ სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება შპს ახალი სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების პირობები, კონკურსის გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. სკოლის შინაგანაწესში ასევე ასახულია შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას კოლექტიური წახალისების ფორმა. მაგ.: ექსკურსია, წვეულება და სხვა სახის ღონისძიებები; დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სკოლის დირექციის წევრები/შესაბამისი საგნობრივი კათედრა / პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულების წახალისების თხოვნით. შინაგანაწესის 20-25-მდე მუხლები ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს. მუხლებში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და თვითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები, განმეორების შემთხვევაში გამკაცრებული სახდელის შესახებ. შპს ახალ სკოლაში თანამშრომელთა მიღება (გარდა მასწავლებლებისა) ხდება კანდიდატთან დირექტორის გასაუბრების გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი. • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ახალი სკოლის ადმინისტრაციასთან, ტექპერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელსაც ახლავს დანართი 1 _ ,,ახალი სკოლის“ შრომითი ხელშეკრულების დანართი და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანართი განსაზღვრავს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობას და მოვალეობებს. გასათვალისწინებელია, რომ მაძიებელი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • ხელშეკრულების შესაბამისი დანართი 1 (დაწყებითი კლასების პროგრამის კოორდინატორის, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის, დაწყებითი სკოლის ოფის მენეჯერის, დაწყებითი სკოლის ქართული სექტორის ხელმძღვანელის, დაწყებითის საგნის მასწავლებლის, საბაზო და საშუალო სკოლის ქართული სექტორის ხელმძღვანელის, საბაზო სკოლის ოფის მენეჯერის, საბაზო სკოლის ოფის მენეჯერის, უფროსი კლასების მასწავლებელი-დამრიგებლის, უფროსი კლასების საგნის მასწავლებლის, სკოლის ფსიქოლოგის, იურისტის და ა. შ.; • სკოლის აკადემიური სტრუქტურა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ახალ სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა, რომლის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით. სქემის ამოცანაა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიულ ზრდას და პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	,,ახალ სკოლაში" შემუშავებულია მასწავლებლის შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას და ზოგადად, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. კარგად მომზადებული და ორგანიზებული შეფასება, საფუძვლიანი თვითშეფასებისა და შიდა შეფასების გზით, ემსახურება სასკოლო გარემოსა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, თითოეული მასწავლებლის პროფესიულ ზრდას. მასწავლებელთა შეფასების სისტემის უმთავრესი მიზანია სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მასწავლებლების უწყვეტი განვითარებისა და პროფესიული ზრდის საშუალებით. უწყვეტი განვითარება და პროფესიული ზრდა ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, ანალიზს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული უკუკავშირის მიწოდებას. მასწავლებლის შეფასების სისტმის დანიშნულებაა: • მოსწავლის სწავლისა და განვითარების ოპტიმიზაცია; • მასწავლებლების ანგარიშვალდებულებისა და საკლასო ოთახში საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის ხარისხზე პასუხისმგებლობის გაზრდა; • სკოლის ხედვით და მისიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით მიღწევა; • სწავლების ხარისხის გაუმჯობესება მასწავლებლის საქმიანობის შეფასებით და უწყვეტი პროფესიული განვითარებით. • უწყვეტი თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებელს შორის, • მასწავლებლის მიერ საკუთარი საქმიანობის შესახებ რეფლექსიას და თვით-განვითარებას ეფექტური სწავლების განხორციელების მიზნით და მთლიანობაში, საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. მასწავლებლის შეფასება ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებსა და შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, ობიექტურობა, ვალიდობა, თანასწორობა, სანდოობა, გამჭვირვალობა. მასწავლებელი ფასდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებული შვიდი მიმართულებით: 1. პროფესიული ცოდნა 2. სწავლების დაგეგმვა 3. ცოდნის გადაცემა, სწავლება 4. სწავლის შეფასება 5. სასწავლო გარემო 6. პროფესიონალიზმი 7. მოსწავლის პროგრესი განსაზღვრულია თითოეული სტანდარტის მიღწევის ინდიკატორები. მასწავლებლის შეფასება კომპლექსური პროცესია. შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისგან და ეტაპისგან, რომლეთა სრულყოფილად და თანმიმდევრულად გავლა აუცილებელია შეფასების პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის. შეფასების კომპონენტებია: დაკვირვება, დოკუმენტაცია, მოსწავლეთა გამოკითხვა, მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო მიზნები. მასწავლებლის შეფასების დასკვნითი ნაწილია შემაჯამებელი შეფასება სასწავლო წლის ბოლოს. შემფასებელი აგროვებს და აანალიზებს შეფასებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას და აღნიშნული ინფორმაციის გათვალიწინებით ანიჭებს მასწავლებელს შესაბამის შეფასებას თითოეული სტანდარტთან მიმართებაში შემაჯამებელი შეფასების რუბრიკის გამოყენებით. შემაჯამებელი შეფასება მასწავლებლის შემაჯამებელი შეფასების დასკვნითი ნაწილია და ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს. სკოლა არ არის შებოჭილი განაახლოს თანამშრომლობა, ვადის გასვლის შემდგომ, იმ მასწავლებელთან, რომელიც ვერ შეძლებს პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით შესაბამისი დონის მიღწევას. შეფასების სხვადასხვა ეტაპების განრიგს ადგენს სკოლა, მასწავლებელს ეძლევა გონივრული ვადა საქმიანობის გაუმჯობესებისთვის შემუშავებული ერთობლივი გეგმის შესასრულებლად. მკაფიოდაა გაწერილი შეფასების პროცედურების თანმიმდევრობა და საფეხურები. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის ჯგუფის მიზნებია: • სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; • მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; • სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; • სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს: 1. მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის/თემატური გეგმის) შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას; 3. მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების/სტრატეგიების შეფასებას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის: • თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება; • სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება; • მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. შპს ახალი სკოლა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „ეროვნული სასწავლო გეგმის" „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანების, „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის" და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებიც. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს ორგანიზაციას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს შპს „ახალი სკოლის" დირექტორი. ხარისხის მართვის მენეჯერი კოორდინირებას უწევს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. სკოლის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IB) მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში: .ეფექტური სწავლება; დაგეგმვა, შეფასება, ძიება; და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ახალი სკოლის მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა; • შპს ახალი სკოლის მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • შპს ,,ახალი სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები; • მასწავლებლების CV, სერთიფიკატები, დოკუმენტაცია; • გასაუბრება ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ ახალ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. რამოდენიმემ აღნიშნა, რომ მათი ორი, სამი შვილი სწავლობს ამ სკოლაში და გამთქვეს კმაყოფილება სკოლის ხარისხიანი მომსახურების გამო. მათ შვილებს არ ესაჭიროებათ დამატებით რეპეტიტორებთან მომზადება, სკოლის კურსდამთავრებულები სკოლაში მიღებული განთლებით წარმატებით განაგრძობენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, მარტივად იმკვიდრებენ თავს საზოგადოებაში. სკოლის მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი ინტელექტით, ფართო თვალსაწიერით, ზოგადი ერუდიციით, არიან თავდაჯერებულები, შეუძლიათ დაგეგმონ საკუთარი სწავლის პროცესები და არიან დამოუკიდებელი მსწავლელები. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არის ჯანსაღი, თანამშრომლობითი დამოკიდებულებები. მშობლები გამოთქვემენ კმაყოფილებას სკოლის კომფორტული ინფრასტრუქტურით, სასწავლო რესუსების მრავალფეროვნებით, საგანთა ინტეგრირებული სწავლებით, დისტანციური სასწავლო პროცესის დროს შეთავაზებული საინტერესო გაკვეთილებით. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებსთვის უსაყვარლესი გაკვეთილებია საძიებო თემა და ბიბლიოთეკა. მოცემულ გაკვთილებზე მოსწავლეები ხდებიან პატარა მკვლევარები, ატარებენ ექსპერიმენტებს, მუშაობენ საინტერესო თემებზე და საკვანძო კითხვებზე. დაწყებითი კლასების ყველა საკლასო ოთახში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოყოფილია ზონა საძიებო თემის კედლისთვის. ამ დაფაზე განთავსებულია, თუ რა თემაზე მუშაობენ მოსწავლეები, რა საკვანძო კითხვების გარშემო იწყებენ კვლევას, რა მიგნებები აქვთ. საბოლოოდ, ისინი აწყობენ პრეზენტაციებს და წარადგენენ საკუთარ კვლევებს. მეხუთე კლასის ბოლოს მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საიტერესო თემას, მენტორების დახმარებით ამზადებენ კვლევის ანგარიშსა და პრეზენტაციას, რასაც წარადგენენ პერსონალურ გამოფენაზე. მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ სკოლის ეზო ულამაზესი ნარგავებით და საკუთარ სკოლას „მწვანე სკოლას“ უწოდებენ. სკოლა ორ სექტორიანია ქართული და ინგლისური. სკოლში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების მოწავლეები საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებზე. სკოლა ცდილობს შექმნას ინტერკულტურული გარემო. მოსწავლეებისთვის საყვარელი ადგილია სკოლის კაფეტერია, სადაც სამზარეულო სთავაზობს ვეგეტარიანულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ჩინურ და ა. შ. დღეებს, რითაც განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენენ სკოლის სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეების მიმართ. ეწყობა სხვადასხვა წარმოდგენები დრამის დარბაზში. სკოლაში იმართება სპორტულ-გამაჯანსაღებელი თამაშები და ესტაფეტები ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით. იმართება მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენები. სასკოლო კულტურის მექანიზმები საინტერესოდაა წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ახალი სკოლა მათი მეორე ოჯახია, სადაც ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა ყველასთვის მნიშვნელოვანია. სკოლა ცდილობს მასწავლებელს შეუქმნას კომფორტული სამუშაო გარემო, გაუწიოს მხარდაჭერა. ამის გამო მასწავლებლებს სტაბილურად ინარჩუნებენ. სკოლაში კვლავ მუშაობენ მასწავლებლები სკოლის დაარსების დღიდან. მასწავლებლებს აქვთ პროფესიული ზრდისა და წინსვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეწყობა. ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მათი დევიზია „მუდმივი მზაობა და სწრაფვა განვითარებისაკენ“ და თითოეული თანამშრომელი იზიარებს ამ დევიზს. სკოლაში შექმნილია სხვადასხვა გაერთიანებები, რომლებიც მონაწილეობენ სკოლის მართვაში: **დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საბჭო** _ გაერთიანება შედგება მესამე-მეხუთე კლასის მოსწავლეთა წარმომადგენლებით, საბჭოს მიზანია დაგეგმოს სკოლისთვის და ბავშვებისთვის სასარგებლო, საინფორმაციო, საქველმოქმედო ღონისძიებები. **მეექვსე-მეთერთმეტე კლასების მოწავლეთა საბჭო** - რომელიც არჩევითი გაერთანებაა. მოსწავლეთა საბჭოს პასუხისმგებლობაა დირექტორთან, თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან თანამშრომლობით, სკოლის მოსწავლეებისთვის უკეთესი სასკოლო ცხოვრების შექმნა. საბჭოს ამოცანაა დისციპლინის დაცვა სკოლაში, დაეხმაროს მოსწავლეებს ლიდერობის უნარების აღმოჩენასა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში. მოსწავლეებს გააცნოს, თუ როგორ მუშაობს სკოლა.ასევე მოახდინოს მათი საჭიროებების კონსტრუქციულად იდენტიფიცირება და გამოხატვა. სასკოლო საქმიანობებში დახმარება: სპორტული, კულტურული, კლასგარეშე. საქველმოქმედო საქმის ორგანიზება ან დახმარება. **ახალი სკოლის მშობელთა და მასწავლებელთა ორგანიზაციის** მისიაა მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო გამოცდილებას სკოლაში, იგი ხელს უწყობს მჭიდრო კავშირის განვითარებას სკოლის ორ სექტორს შორის (ქართული და ინგლისური), ასევე სკოლასა და ოჯახს შორის. „ახალი სკოლის“ მშობელთა და მასწავლებელთა ორგანიზაცია არის მოხალისე ორგანიზაცია. აქტივობები, რომელიც დაგეგმილია მშობელთა და მასწავლებელთა ორგანიზაციის მიერ ტარდება დირექტორის მხარდაჭერით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ა) სკოლის განსაკუთრებული ღონისძიებებისათვის მხარდაჭერა. ბ) საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელება. გ) მშობლებელთა ინფორმირება სკოლის პროგრამების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე აქტივობებზე და ღონისძიებებზე, სასკოლო კლუბების, წრეების მუშაობაზე, მშობელთა ჩართულობაზე და ა. შ. იხ. https://newschoolgeorgia.com/ სკოლას ასევე აქვს გვერდი სოციალურ ქსელშიც: https://www.facebook.com/newschoolisg/
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • მოსწავლეთა საბჭოს კონსტიტუცია; • „ ახალი სკოლის“ მშობელთა და მასწავლებელთა ორგანიზაციის დებულება; • ადმინისტრაციასთან/პედაგოგებთან/მშობლებთან/მოსწავლეებთნ გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	• მნიშვნელოვანია, შპს ახალ სკოლაში მომუშავე იმ მასწავლებლებმა, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, შეძლონ საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება მიმდინარე 2022 წელს. • გასათვალისწინებელია, რომ მაძიებელი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში აისახოს მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები.
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 04.05.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 55 (ორმოცდათხუთმეტი ფურცელი)

55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.